სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 0 20 0001228028

24/12/2020

სამეცნიერო-კვლევითი პროექტების რეგისტრაციის ელექტრონული სისტემის დანერგვის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სტუ-ს რექტორის მოადგილის, ბატონ ზურაბ გასიტაშვილის 2020 წლის 23 დეკემბრის სამსახურებრივი ბარათის (1223727) საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. სტუ-ს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტ „ტექინფორმისა“ და ცენტრი „ერთად“ მონაწილეობით შემუშავებული სტუ-ს მეცნიერების დეპარტამენტსა და სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში სამეცნიერო-კვლევითი პროექტების რეგისტრაციის ელექტრონული სისტემის დანერგვის მიზნით, შეიქმნას პროექტის სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:
თეიმურაზ ჩუბინიშვილი - პროექტის ხელმძღვანელი, „ტექინფორმის“ანალიზისა და საინფორმაციო რესურსების განყოფილების უფროსი
ნონა ბაჩილავა - „ტექინფორმის“ ინჟინერი
არჩილ ბერიძე - „ტექინფორმის“ პროგრამისტი
ალექსანდრე ფაცაცია - ასისტენტ-მკვლევარი, სტუ-ს დოქტორანტი

2. სამუშაო ჯგუფმა არა უგვიანეს 2021 წლის 01 აპრილისა, უზრუნველყოს:
ა) სამეცნიერო-კვლევითი პროექტების სავალდებულო რეგისტრაციის დებულების შემუშავება;

ბ) სამეცნიერო-კვლევითი პროექტების რეგისტრირების პროცესის გზამკვლევის მომზადება;
გ) სტუ-ს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მიერ წარმოდგენილ სამეცნიერო-კვლევითი პროექტების რეგისტრაციაზე პასუხისმგებელ/საკონტაქტო პირთათვის და მკვლევარებისათვის რეგისტრაციის დებულებისა და რეგისტრირების გზამკვლევის გაცნობისა და პრაქტიკული მეცადინეობების მიზნით საჭირო ტრეინინგების (ვებინარების) ჩატარება;
დ) სამეცნიერო-კვლევითი პროექტების რეგისტრაციის ელექტრონული სისტემის დანერგვის შესახებ სტუ-სა და „ტექინფორმის“ ვებგვერდებზე შესაბამისი საინფორმაციო მასალის განთავსება;
ე) სამეცნიერო-კვლევითი პროექტების რეგისტრაციის ელექტრონული სისტემის საცდელი ექსპლუატაცია და ჩაბარება.

3. სამუშაო ჯგუფის წევრთა ანაზღაურება განხორციელდეს პროექტის ხელმძღვანელის მიერ წარმოდგენილი სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე სტუ-ს ბიუჯეტით გათვალისწინებული შესაბამისი ასიგნებებიდან.

4. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის უზრუნველყოს სტუ-ს კანცელარიამ.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, #64).

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
რექტორი დავით გურგენიძე